როინ მალაყმაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსისტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი
roin.malakmadze@bsu.edu.ge
https://orcid.org/0009-0005-9250-0524

საბა კალანდარიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტი
sabakalanda@gmail.com
https://orcid.org/0009-0003-1815-9810

ქართველ მუჰაჯირთა სოფლები თურქეთში: კაბაკდაღი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ანალიზს ქართველ მუჰაჯირთა დასახლებების შესახებ თურქეთის ორდუს პროვინციის ფაცას რაიონში სოფელ კაბაკდაღის მაგალითზე. სტატიაში განხილულია XIX საუკუნის რუსეთ-ოსმალეთის ომების შედეგად დაწყებული მუჰაჯირობის პროცესი და ქობულეთიდან გადასახლებული მოსახლეობის ახალ გარემოში საკუთარი იდენტობის, ენისა და ტრადიციების შენარჩუნების მცდელობები. წარმოდგენილი ეთნოგრაფიული მასალა წარმოაჩენს კოლექტიური მეხსიერების, ადგილის შეჩევის, ხელიგიური პრაქტიკებისა და სივცითი მოწყობის მნიშვნელობას ჯგუფური მიკუთვნებულობის შენარჩუნებაში. კვლევა ხაზს უსვამს კაბაკდაღის როგორც კულტურული მეხსიერებისა და მუჰაჯირთა შთამომავლობის ერთ-ერთ მთავარ სიმბოლოს დღევანდელობაში.

საკვანძო სიტყვები: მუჰაჯირობა, ჩვენებურები, ორდუ, ფაცა, ეთნოგრაფია, კულტურული მეხსიერება, მიკუთნებულობა, ტრადიციები.

XIX საუკუნის რუსეთ-ოსმალეთის ომებმა სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურა არსებითად შეცვალა. ამ ომების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შედეგს მუჰაჯირობის პროცესი წარმოადგენდა, რამაც რეგიონს დემოგრაფიული და კულტურული თვალსაზრისით სიღრმისეული კვალი დაამჩნია. ტერმინი „მუჰაჯირობა“ (არაბ. მუჰაჯირ, გადასახლებული) აღნიშნავს იმ ადამიანთა ჯგუფს, რომლებიც სხვადასხვა პოლიტიკური, სამხედრო და რელიგიური მიზეზების გამო იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ საკუთარი მიწა და გადასახლებულიყვნენ ოსმალეთის იმპერიაში.

კავკასიიდან მუჰაჯირობის პირველი ტალღა 1828–1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ დაიწყო, რასაც მოჰყვა აფხაზთა მასობრივი გადასახლება 1867 წელს, ხოლო ყველაზე მასშტაბური მიგრაცია 1877–1878

წლების ომის შემდგომ განხორციელდა. აღნიშნული ომის დასრულების შემდეგ, სან-სტეფანოს ზავისა და ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით, რუსეთის იმპერიას გადაეცა არტაანის, ყარსისა და ბათუმის ოლქები, რაც საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით არსებული მიწების - მათ შორის ქობულეთის, აჭარისა და შავშეთის ახალი ადმინისტრაციული მოწყობის საფუძველი გახდა (მეგრელიძე 1974, 92).

კონგრესის დადგენილების თანახმად, ადგილობრივ მოსახლეობას მიეცა სამი წლის ვადა, რომ დაეტოვებინა რეგიონი და გადასახლებულიყო ოსმალეთის ტერიტორიაზე, ან დარჩენილიყო რუსეთის ქვეშევრდომობაში. სწორედ, ამ პერიოდში დაიწყო ქართველთა მასობრივი მიგრაცია დასავლეთ თურქეთისკენ, რომელთა უმრავლესობა აჭარისა და ქობულეთის მაზრების მუსლიმი ქართველები იყვნენ.

მუჰაჯირობის პროცესს ხელს უწყობდნენ როგორც ადგილობრივი სასულიერო წრეები, რომლებიც რელიგიური მოტივებით მოსახლეობას გადასახლებისკენ მოუწოდებდნენ, ისე რუსეთის ადმინისტრაციული ხელისუფლება, რომელიც ცდილობდა რეგიონიდან მუსლიმთა გაყვანით და მათ ადგილზე „სანდო“ მოსახლეობის ჩანაცვლებით შეეცვალა ადგილობრივი დემოგრაფიული შემადგენლობა. შედეგად, 1870–1880-იანი წლებისთვის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი მოსახლეობისგან თითქმის დაიცალა.

თურქეთის სხვადასხვა რეგიონში გადასახლებული ქართველები, განსაკუთრებით მარმარილოს ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსა და სამხრეთ შავიზღვისპირეთში - ახალ გარემოში შეეცადნენ შეენარჩუნებინათ სამშობლოში ჩამოყალიბებული ყოფითი და კულტურული მოდელები. მათ დააარსეს ახალი სოფლები, სადაც გარკვეული დროის განმავლობაში შენარჩუნდა ქართული ენა, ტრადიციები და სოციალურ-რელიგიური პრაქტიკები. ამ დინამიკის თვალსაჩინო მაგალითია ორდუს პროვინციის ფაცას რაიონი, სადაც ქობულეთიდან გადასახლებული მუჰაჯირების შთამომავლები დღემდე ცხოვრობენ და აგრძელებენ ქართული კულტურული მემკვიდრეობის ცოცხალ გადაცემას.

დანართი 1. ქალაქ ფაცას სანაპირო.

ორდუს პროვინიციის ფაცას რაიონში 73 სოფელი და მაჰალეა (უბანი). ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, აქედან 20 სოფელია, სადაც ქართველები ცხოვრობენ, ზოგან აბსოლუტური უმრავლესობით, ზოგან კი უმცირესობით. ქართველები ცხოვრობენ სოფლებში: კაბაკდაღში, კარატაშში, დუაიერში, ჩერქეზდაღში, მაჯანაქში, დუუდუქში, თახთაბაშში, ჰოილუში, სუდერეში, სალიჰლიში, ესქიორდში, ჯაბრანში, ქონაქბაშში, ჰამლუქში, ბოზდაღში, ჰათიბდაღში, იუსუფლიში, სასჯილარში, ილევერში და დოდში.

როგორც ცნობილია, თავად, მუჰაჯირები თანამედროვე კაბაკდაღის ტერიტორიაზე, ზეგანში დასახლდნენ და შემდგომ გავრცელდნენ სხვადასხვა სოფლებში. ეს იყო უზარმაზარი ხელუხლებელი, ტყით დაფარული ტერიტორია. აქაური გარემო პირობები გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე ზღვისპირეთი, სადაც მრავლად იყო ჭაობი და მწერები. გარდა ამისა, ამ ტერიტორიაზე ბერძნების და სომხების დასახლებებიც არ არსებობდა. როგორც მთხრობელები ყვებიან, წინაპრებმა ადგილის შერჩევის შემდეგ, პირველ რიგში, მეჩეთისა და სასაფლაოს ადგილი გაითვალისწინეს და დაადგინეს წესი, რომ საცხოვრებლად შერჩეულ ამ ადგილს არავინ მიახლოვებოდა. ეს წესი მოქმედებდა 143 წლის განმავლობაში. პირველი ჯგუფი, რომელიც ზეგანში მივიდა 80 კომლისგან შედგებოდა. მოგვიანებით, ზოგიერთი იმ ადგილას ავიდა, სადაც დღევანდელი ჰასანჯიქის სოფელი მდებარეობს.

ეთნოგრაფიული მასალებიდან ცხადი ხდება, რომ მათ აირჩიეს ისეთი ტერიტორია, რომელიც „სამშობლოს“ მიამსგავსეს. ეს იყო, ღია, თავისუფალი, ხელუხლებელი ტერიტორია, ზღვასთან ახლოს. აჰმეთ ბეჟანიძეს, რომელიც იმყოფებოდა საზღვრის გახსნის შემდეგ ქობულეთში და უნახავს იქაური გარემო, გვიყვება, რომ: „თუ ფაცას შევადარებთ ქობულეთს, მაშინ ასე ვთქვათ, თუ კონაკბაშიდან გადიხედავ დეინახავ ილიჯის მდინარეს და ზღვას.

თუ ქობულეთის სოფელ გვარაში ახვალ და ქვემოთ გაიხედავ, დეინახავ კინტრის მდინარე და ზღვას. კვირიკეს სოფელი ქვემოთ, მდინარის პირას მდებარეობს, ის ზავოს დასახლებას ჰგავს. ეს არის ფაცას და ქობულეთის მსგავსება“. 78 წლის ერდოღან მესხიძემ კი, რომელიც არასდროს ყოფილა საქართველოში და მხოლოდ მამის მოყოლილი ახსოვს, გვითხრა: „იქიდან მოსულები იქა რომე ადგილებია, აქაც იმფერ ადგილებზე დარჩენილან. მოსულან ადგილი აგი ჩემიაო, შამუღობიან, მის სახლთან, ერთმანეთთან ახლოს არ არის. შორ-შორ არიან. ახლა რომ გავბევრდით ახლოს დავრჩით ადრე შორ-შორ იყვენ... მინდა გამოსლა, დევნახო ჩემი სოფელი, მემგონია ამფერი იქნება“.

დანართი 2. სოფელი კაბაკდაღი.

ქართველ მუჰაჯირთა ყოფა უმძიმესი იყო, განსაკუთრებით პირველ წლებში, როცა არაფრისგან უწევდათ ახალი სამყოფელის - „სახლის” შექმნა. ტერიტორიები, რომლებიც შესაბამისმა კომისიამ დაურიგა ადგილობროვ მოსახლეობას, ძირითადად სრულად აუთვისებელი და ხე-ტყით იყო დაფარული.

ბუნებრივია, ახალ გარემოში ჩასვლისთანავე, სრულიად სიღარიბეში, დიდებული სახლები არავის აუშენებია. გადმოცემის თანახმად, პირველ ოთხი წელი მოსახლეებს ზეგანში, დღევანდელი მეჩეთის ადგილას მცირე ზომის ხის ქოხებში (ფაცხები) უცხოვრიათ, როგორც ინფორმანტები ამბობენ, მიგრანტთა რიგში ბევრი ხელოსანი ყოფილა, რომლებმაც დაიწყეს ამ თვისებების გამოყენება ახალი გარემოს შესაქმნელად. ამ პროცესს სათავეში რეჯებ აღა მაკაროღლუ ჩაუდგა, რომელმაც რამდენიმე კაციანი ხელოსნების ჯგუფით პირველი სახლები ააშენა სოფელში. ამას მოჰყვა ნადით (კოლექტიური დახმარების მეთოდით) ახალი სახლების აშენება. დაიწყეს კრამიტის წარმოება და სხვა საჭირო მასალის მოზიდვაც. ასე ერთობლივად

ააშენეს იქ ჩასულმა მუჰაჯირებმა სოფლის პირველი სასაფლაო, მეჩეთი და მედრესე.

დანართი 3. სოფელი კაბაკდაღი, ბეჟანიძეთა კუთვნილი 140 წლის სახლი.

დანართი 4. ნალია - სოფელი კაბაკდაღი.

სოფლის განაშენიანება თავდაპირველად სასაოფლაოს მოწყობით დაიწყო. როგორც ჩანს, მუჰაჯირებმა სასაფლაოსთვის საკმაოდ დიდი ტერიტორია დატოვეს. მთხრობელთა უმეტესობა პირად საუბრებში მკაფიოდ უსვამს ხაზს ისეთი ქართული წესის არსებობაზე, როგორიცაა, დიდი სასაფლაოს მოწყობა და კოლექტიურად დასაფლავება. ერთ-ერთმა მთხრობელმა აღნიშნა, რომ ბევრ სხვა თვისებასთან ერთად, ესეც ისეთი ქართული პრაქტიკაა, რაც მათ გამოარჩევს თურქებისგან. აღნიშნულ პრაქტიკას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ახალ გარემოში ადაპტაციის გზაზე მუჰაჯირებს საერთოობისა და სიმჭიდროვის მოთხოვნილების მექანიზმი გაუჩნდათ, რომელიც იდენტობის შენარჩუნების მცდელობას გამოხატავს. როგორც ჩანს, ისინი ერიდებოდნენ ორი სასაფლაოს, ან ორი მეჩეთის აშენებას, რათა ამას არ გამოეწვია მოსახლეობის გაყოფა.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს მეჩეთის უკან არსებული საფლავების დიდი ნაწილი აღარ ჩანს, ადგილობრივები მიიჩნევენ, რომ ეს ტერიტორია მთლიანად მათი წინაპრების საფლავებია, რომელთა საფლავის ქვებიც სამწუხაროდ დაიკარგა. ამიტომ დღეს ამ ტერიტორიაზე ახალი საფლავები არ კეთდება. საერთოდაც, მუჰაჯირებისთვის სასაფლაო წმინდა საკრარულ

ადგილს წარმოადგენდა. ეთნოგრაფიული მასალების თანახმად, ღვთიური სინათლე სასაფლაოზე ეშვებოდა. აღნიშნული რწმენა განაპირობა მუჰაჯირთა მაღალსულიერებამ და ისლამისადმი ერთგულებამ, რომლის გამოვლინებაც თავად მუჰაჯირობის პროცესია. ისინი მიიჩნევდნენ, რომ რელიგიურ ნიადაგზე სამშობლოს დატოვება მოწამეობრივ მადლს უდრიდა. ამგვარი წარმოდგენა დღესაც ღრმად არის დალექილი მუჰაჯირთა შთამომავლების მეხსიერებაში.

დანართი 5. სოფელ კაბაკდაღის სასაფლაო.

კაბაკდაღის პირველი მეჩეთის აშენების გადაწყვეტილება 1883 წლის 13 ოქტომბერს მიიღეს. თავდაპირველად შეიქმნა სამეურვეო საბჭო. საბჭომ შენობის მშენებლობისთვის 1850 ყურუში შეაგროვა. შენობის საძირკველის მიხედვით, მშენებლობა 1887 წელს დაიწყო და მისი ხარჯები მთლიანად ქართველი მოსახლეობისგან შეიკრიბა. მოგვიანებით, მოსახლეობის ზრდასთან ერთად საჭირო გახდა ახალი ქვის მეჩეთი, რომელიც 1960 იან წლებში აშენდა და 2010 წლამდე ფუნქციონირებდა. დღეს კაბაკდაღს 2010 წელს აშენებული ახალი, დიდი მეჩეთი ამშვენებს.

პირველმოსულებმა სასაფლაოსა და მეჩეთთან ახლოს ააშენეს პატარა მედრესეც რელიგიური გაკვეთილებისთვის. ქობულეთიდან წამოსული მოლები, რომლებიც ისლამს კარგად იცნობდნენ, წლების განმავლობაში ასწავლიდნენ რელიგიას მომავალ თაობას. უფრო მოგვიანებით, 1932 წელს აშენდა მცირე ზომის სკოლაც, რომელშიც თურქული ენა ისწავლებოდა.

სოფელ კაბაკდაღის ეტიმოლოგია თურქულია და გოგრას, (მუჰაჯირების დიალექტით - ხაპი) უნდა უკავშირდებოდეს. გადმოცემის თანახმად, მუჰაჯირებს სამშობლოდან გოგრის თესლი წაუღიათ, რომელიც შემდეგ მთელ სოფელში გავრცელებულა - „იქიდან ჩამეიტანეს ხაპის თესლი და დათესეს. ხაპმა ევდა ხეზე და იქიდან ხალხმა სხვამ რომ წამოვდენ, აგერო ხაპის სოფელიო“. ჰუსეინ მოწყობილს თუ დავუჯერებთ, კაბაკდაღის სახელის წარმომავლობა სწორედ ამას უნდა უკავშირდებოდეს.

არაოფიციალურ ჩანაწერებში ამ ადგილის სახელია ჩამაშის რაიონის სოფელი სამებადირი. „სამა - სამობა“ აჭარულ და ტაო-კლარჯულ დიალექტზე ცეკვა-თამაშს ნიშნავს. აგრეთვე შეიძლება ის დაუკავშირდეს ქრისტიანულ მნიშვნელობას - სამება „მამა, ძე და სულიწმინდა“. აღსანიშნავია ისიც, რომ მუჰაჯირთა დიდი რაოდენობა იმ დროს ქობულეთის სოფელ სამებიდან წამოვიდა, თუმცა ეს მოსაზრებები ნაკლებად სავარაუდოა, რადგან აქ მოსული მოსახლეობა, სამების გარდა სხვა სოფლებიდანაც იყვნენ.

აჰმედ ბეჟანიძის ვერსიით სახელწოდება შეიძლება უკავშირდებოდეს ძველ ქართულ ტრადიციას „ყაბახობას“. ყაბახი იყო საჯირითო მოედანი სამხედრო ვარჯიშებისა და სახალხო გართობებისათვის ფეოდალურ საქართველოში. მოედნის შუა ადგილას აღმართული იყო ძელი, რომელზეც სამიზნედ გოგრის მაგივრად ოქროს ან ვერცხლის თასს დგამდნენ. ცხენზე ამხედრებული მშვილდისრიანი მოჯირითეები რიგრიგობით ჩაიქროლებდნენ და თასს ჩამოსაგდებად ისარს ესროდნენ. ვინც მიზანს მოახვედრებდა, გამარჯვებულად ითვლებოდა და ეს თასი გადაეცემოდა. სულხან-საბას განმარტებით, ყაბახი ერქვა არა მთლიანად მოედანს, არამედ მის ცენტრალურ ნაწილს, სადაც ძელი იყო აღმართული. ამავე ასპარეზობაზე თამაშობდნენ ბურთს, იმართებოდა მარულა. ყაბახობა ტარდებოდა ქორწილების, საერო თუ რელიგიური დღესასწაულების დროს. აღნიშნულ მოსაზრებას ავტორი ამყარებს ტრაპიზონში, ათათურქის სასახლეში არსებული რუკით, სადაც „ხაბახი - ყაბახა“ მითითებულია იქ, სადაც დღეს თანამედროვე კაბაკდაღი არსებობს (Becioğlu 2022, 69). ეს მოსაზრებაც ნაკლებ სავარაუდოა, რადგან „ყაბახობა“აჭარა-გურიის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში და არც მუჰაჯირებში არ გვხდება. ამიტომ ყველაზე დამაჯერებელი პირველი ვერსია უნდა იყოს.

კაბაკდაღი ზღვის დონიდან 400 მეტრზე, ქალაქიდან 8 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს და მთლიანად ქართველებითაა დასახლებული. „ადგილი (იერის) წესი“, რომელიც მუჰაჯირებმა მოსვლისთანავე დაადგინეს[1] 140 წლის განმავლობაში მოქმედებდა, ამიტომ დღეს სოფელში მხოლოდ რამდენიმე თურქული ოჯახია შერეული. შესაბამისად, კაბაკდაღი ყველაზე ძველი და ტრადიციული ქართული სოფელია ფაცაში.

ქართული სოფლის დასახლების, განვითარებისა და ტოპონიმიკის ისტორია ჯგუფთან მიკუთვნებულობის ერთ-ერთი მარკერია. ამის კარგი მაგალითია დღემდე არსებული ნარატივი ქართული სოფლის ენდოგამიურობისა და ძირძველი ტოპონიმების გამოყენების შესახებ.

[1] ქართველების გარდა აქ ვერავინ დასახლდებოდა.

აჰმედ ბეჟანიძე თავის საავტორო წიგნში „სოფელი კაბაკდაღი“ მკაფიოდ აღნიშნავს, რომ კაბაკდაღში მცხოვრები ძირძველი ქართველები ამ ადგილს „ზეგანს“ უწოდებენ. იგივე დამიდასტურა არაფორმალური საუბრის დროს ჰუსეინ მოწყობილმაც, რომლის წინაპარიც პირველი მუჰაჯირების რიგებში ყოფილა და თავიდანვე ზეგანში დასახლებულა. „ერთი ნათქვამია ასე, კაბაკდაღს ჩვენ ზეგანს ვუძახით, ზეგანი რატომ? ზევით არის. ქვემო ნაწილს ჰქვია ზავო (აღადან გამორთმული ადგილი). ხალხი გვეტყვის ჩვენ, სამიხვალ? - ზეგანში, ვუპასუხებთ, კაბაკდაღში არ ვიტყვით, ჩვენი სოფელი ზეგანია“. სხვებისთვისაც ძირძველი სოფელი ზეგანია, კაბაკდაღი მოგვიანებით გავრცელებული და თურქული ენის ზეგავლენით დარქმეული სახელია. „თურქეთსა და ჩვენს რეგიონში არცერთ სოფელს ზეგანი არ ეწოდება. ის სიტყვები, რომლებიც იწყება „ზე“-ზე, ყოველთვის მაღალ ადგილებს აღწერს. მაგალითად: ზეგანი (მაღალი ვაკე), ზედა, ზეცა (ცა), ზეი (მზეი - მზე), ზენითი (ცის გუმბათი) ზენდიდი და სხვა“ (Beciоğlu 2022, 69).

კაბაკდაღის შემადგენლობაში შედის უფრო მოგვიანებით მიერთებული დასახლება „ზავო“. მთხრობელების გადმოცემით მოსახლეობას მიწის ნაკვეთები რომ არ ეყოთ, ქვემო ტერიტორიების ათვისება დაუწყიათ და თანდათან ეს ტერიტორიები აღა-ბეგებისგან 11 ოჯახს შეუსყიდია და ასე გაიზარდა დასახლება.

მთლიან კაბაკდაღში 39 დასახელების ქართული გვარი ცხოვრობს: დიასამიძე, მახაროღლუ (მახარაძე), ქამათამაძე, ინაიშვილი, მიქელაძე, ელიაძე, ბაჯელიძე, მესხიძე, ბეჟანიძე, ხახუტაიშვილი, ოქროპირიძე, კაკალაძე, მენაფირე, მახარაშვილი, გოგიტიძე, ხინიკაძე, გოლომანიძე, მოწყობილი, მაჭახელი, ჩაქველი, თილაძე, ბაუჟაძე, კენჭიშვილი (კენჭაძე), რომანაძე, გორგაძე, ცენტერაძე. რაც შეეხება ისეთ გვარებს, რომლებიც თურქული ოღლუთი, ანუ შვილით მთავრდება, წარმოშობით ბათუმიდან არიან, ასეთია: ჰირალიოღლუ, სოსიოღლუ, ლაზოღლუ, ჰოციოღლუ, ჰალვაშოღლუ, თამაზოღლუ, ქოროღლუ, ყადიოღლუ, კაკულოღლუ, აფაზოღლუ, კაჰვეციოღლუ.

დანართი 6. კაბაკდარში მდებარეობს და დიდი პოპულარობით სარგებლობს ბეჟანიძეთა კუთვნილი ქართული რესტორანი „ზაფრანა", რომელსაც უამრავი ტურისტი სტუმრობს და არამხოლოდ.

დღეს კაბაკდაღი, ისევე როგორც სხვა სოფლები ზამთარში ძირითადად ცარიელია. სოფელი აქტიურდება ზაფხულში, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, მაშინ როცა თხილის მოსავლის აღების პერიოდია. სხვა შემთხვევაში სახლები ძირითადად დაკეტილია და შაბათ-კვირით თუ იღება ხოლმე. ჰუსეინ მოწყობილის თქმით, სოფელში სკოლაც აღარ ფუნქციონირებს, რადგან სოფლები ნელ-ნელა იცლება და ბავშვების რაოდეონობაც ცოტაა. განსაკუთრებით ნაკლებობაა ახალგაზრდების, რომლებიც დიდ ქალაქენში არიან გადასულები საცხოვრებლად.

მიუხედავად ასეთი სამწუხარო ტენდენციისა, კაბაკდაღი ჯერ ისევ რჩება ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების მთავარი კერად, რომელიც საერთო წარმომავლობისა და ჯგუფთან მიკუთვნებულობის ერთ-ერთი მთავარი სიმბოლოა. თურქეთში მცხოვრებ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების სოფლების კვლევა გრძელდება და მიზნად ისახავს ქართული სოფლების ტრადიციული და თანამედროვე ყოფისა და კულტურის ელემენტების ფიქსაციასა და შესწავლას, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია მიგრაციის, იდენტობისა და დიასპორული კვლევებისათვის.

ბიბლიოგრაფია

მეგრელიძე, შამშე. საქართველო აღმოსავლეთის ომებში. თბილისი, 1974.

Becioğlu, Ahmet. Kabakdadaği Köyü – Bu Bizim Hikayemiz. Samsun, 2022.